საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულეთი

აბულეთი, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს. I ნახევარში.

აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის სარდალი. 1110 გიორგი ჭყონდიდელის დისწულ თევდორესა და ივანე ორბელთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს, რ-მაც თურქთაგან გაათავისუფლა სამშვილდე. 1124 დავით აღმაშენებელმა ა. და მისი ძე ივანე ანისის გამგებლად დანიშნა. უკანასკნელად იხსენიება 1130.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 2).

ნ. შოშიაშვილი